ნიანგი

5

მარტი
1989



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოლონდ ცოლად გამომყევი და, თბილისის ნებისმიერ რაიონში გაცხოვრებ, თანაც ყელამდე ნაგავში ჩაგსვამ!

ქ. თბილისის № რაიონის პროკურორს გ. ჩუმათელაშვილს
ამავე რაიონის № 469 მაღაზიის გამგე-გამყიდველის მარო მარკოზის ასულ სტეფნაძის

ახსნა-განმარტებითი ბარათი

1989 წლის 13 მარტს ჩემდამი რწმუნებულ მაღაზიაში ერთი ჯოლოფი სიგარეტი „კოსმოსი" (მაგარი) 1 მანეთად მივყიდე მოქ. პაპისმედაშვილს თუ მამისმედაშვილს (გვარი ზუსტად არ მახსოვს). როგორც შემდეგ ექსპერტიზით გამოირკვა, პაპისმედაშვილი თუ მამისმედაშვილი სიგარეტს არ ეწეოდა, რაც იმას ადასტურებს, რომ იგი იყო მოგზავნილი და ინტრიგანი. ამ ფაქტის გამო სახალხო კონტროლის ჯგუფმა შეადგინა ოქმი და შესაბამის მილიციაში ჩემს მიმართ აღიძრა საქმე. მართალია, ერთი „კოსმოსი" 70 კაპ. ღირს (აბა, წადი, იშოვე!), მე კი 1 მანეთად გავყიდე და ჩემს დანაშაულს არ უარვყოფ, მაგრამ მინდა აგიხსნათ ჩემი ასეთი მოქმედების მოტივები: თვითონ მე ერთ „კოსმოსში" მძღოლექსპედიტორს ვაძლევ 80 კაპიკს (არ მისცემ — არ მოიტანს!), მძღოლი ფაბრიკიდან სიგარეტს იღებს 70 კაპიკად, გარდა ამისა კიდევ გამოაქვს „ლევი" სიგარეტი, რაშიც კონტროლიორს ჭიშკარში აძლევს გარკვეულ თანხას (არ მისცემს — არ გაატარებს!). საწყობის გამგე აძლევს საამქროს უფროსს, საამქროს უფროსი — დირექტორს, დირექტორი — მმართველს და ა. შ. ყველას ვერ ჩამოვთვლი. ვინ რამდენს იღებს, რა ჩემი საქმეა?! არსებული მდგომარეობა ავუხსენი პაპისმედაშვილს თუ მამისმედაშვილს (ჯანდაბა მაგას!), მან კი ამაზე მითხრა, ეს მე არ მაინტერესებს, რამდენიც აწერია, იმდენად უნდა გაყიდოო! მე კიდევ ერთხელ ავუხსენი, ჩემი ჯიბიდან ხომ არ გადავიხდი-მეთქი, მაგრამ პაპისმედაშვილმა თუ მამისმედაშვილმა მოიყვანა სახალხო კონტროლიორები, შეკრიბა მოწმეები და შეადგენინა აქტი. მე მყავს 3 არასრულწლოვანი შვილი, ინვალიდი ქმარი და მთელი ოჯახის მარჩენალი მე ვარ. ახლა წარმოიდგინეთ, პატ. პროკურორო, თავი ჩემს ადგილას! თქვენ რას იზამდით? აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ რამდენი გადავიხადე ჩემს ადგილში (ის ფულიც ნასესხები იყო), თქვენ თვითონ იცით, როგორ ხდება ასეთი რამეები. მე რომ სიგარეტში არ გადამეხადა 80 კაპიკი, არ მყოლოდა სამი შვილი (იმათ ენაცვალოს დედა!), არ მყოლოდა ინვალიდი ქმარი ჩემს კმაყოფაზე და მქონოდა მაღალი ხელფასი, „კოსმოსს" გავყიდდი 70 კაპიკად, ე. ი. თავის ფასში და პაპისმედაშვილს თუ მამისმედაშვილს, რაც ერთი და იგივეა, აღარ ექნებოდა ინტრიგის საბაბი ჩემს მიმართ.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენს სისტემაში არსებული მდგომარეობა, აგრეთვე ჩემი მძიმე ოჯახური მდგომარეობა, ისიც, რომ წინათ დანაშაულში შენიშნული არ ვყოფილვარ, რასაც ადასტურებს საჩივრის წიგნი (შეგიძლიათ ნახოთ), მიუხედავად იმისა, რომ უკვე 20 წელია ვაჭრობის სისტემაში ვარ, მივიღე ვაჭრობის სანიმუშო მუშაკის საპატიო სიგელი, არაერთხელ გავიმარჯვე რაიონის სავაჭრო ობიექტების სოცშეჯიბრებაში, რისთვისაც გარდამავალი წითელი დროშა დავიმსახურე.

კიდევ ერთხელ გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩემი როგორც პატიოსანი მშრომელის მდგომარეობა, შემიმსუბუქოთ დანაშაული, თუ ამასაც დანაშაული ჰქვია, რადგან ამას ყველა აკეთებს და კარგად იცის, რომ ამის გარეშე ცხოვრება და მუშაობა შეუძლებელია! გთხოვთ აგრეთვე, შეამოწმოთ ჩემი წარსული, ენდოთ ჩემს პატიოსან სიტყვას და არა ინტრიგან პაპისმედაშვილს თუ მამისმედაშვილს, რომელიც თვითონ შესამოწმებელია, სად მუშაობს და როგორ ცხოვრობს!

ახსნა-განმარტებითი ბარათი მოიპოვა
სოლ. ველომანიძემ

ღიმილის საუნჯიდან 50

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპასი რძალი

ოთახ-ოთახ დაბუზღუნებს
კევის ღეჭვით,
თმებგაშლილი:
— უმაქნისი თქვენი
შვილი,
უვარგისი თქვენი შვილი,
დამჯდარა და ხელფასს
იქით
არსად აღარ იყურება,
ნუცას რძალი
ოქრო-ვერცხლში
იძირება, იყურება!..
აბა, გიგი რაც კი გახდა
კოოპერატივის წევრი
მხრებში უფრო გაიშალა,
დაუმშვენდა უფრო წვერი
და ობიექტს კარგი ჯიშის
მეწველ ძროხასავით
წველის.
გააძვირა კუპატები,
გააძვირა პური, ყველი!..
მოითბო და მოიმართა
იმ „წევრობით" ცივი ხელი!
შენი შვილი? შენი შვილი
ხელფასიდან ხელფასს
უცდის,
არც მაცვია თბილი ქურქი,
არც აცვია ჭრელი ბუცი!..
მიტომაა უვარგისი,
მიტომაა უმაქნისი!
დადის სამი შვილის მამა
ცარიელი ჯიბე-ქისით!..
— მაშინ კარგი შვილი
მყავდა,
უიმისოდ რომ ვერ
ძლებდი?
. . .
საქმროების გაზრდისათვის
დედებს ასე სჯიან
რძლები!

ვერ მიირთმევთ!

ტურა შეხვდა ქათამს
ტყეში ღელის პირას.
— უჰ, რა მსუქანი ხარ! —
შეჭმა დაუპირა.
— შენ ვერ შემჭამ, ტურავ,
ვერ ჩამიგდებ ხელში,
ქათამი ვარ დათვის,
მიტომ ვცხოვრობ ტყეში!
გაიპარა ტურა
ტყიდან დათვის შიშით,
ახლა ქათამს დათვი
შეხვდა პანტის ძირში.
— თუმცა მსუქანი ხარ,
არ მეყოფი ლუკმად!
— მე ვეკუთვნი დიდ ლომს,
კბილს ილესავ უქმად!
გაიპარა დათვიც,
ხევ-ხევ გაიძურწა;
მელა შეხვდა ქათამს,
მიაძახა წუწკმა:
— უჰ ,რა მსუქანი ხარ!
ვინ გაგიშვა ველად?
— შენ სიმსუქნე ჩემი
დაივიწყე, მელავ!
ქათამი ვარ ვეფხვის,
მიფრთხილდება ყველა!..
და შენ ვინ მიგდიხარ,
ქურდბაცაცა მელავ?!
... გარბის მელა!..
ლამის
მოიტეხოს ფეხი!..
ვერ მიირთმევს, ქათამს
თუ პატრონობს ვეფხვი!..

მეგობრული შარჟი
ბელა დურგლიშვილისა



ნახ. ბ. ხუჯაშვილისა

უსიტყვოდ

ელგუჯა მერაბიშვილი

ცოლო-ქმიყური ზღაპარი

ერთ თოვლიან დილით სპორტული კოსტიუმის ამარა საყიდლებზე გავედი. მალაზია იქვე იყო. არაჟანი, ხაჭო და მაწონი რომ ვიყიდე, თვალმა ნამძლია და პურთან ერთად ლაზათიანად შებოლილი ძეხვიც ავაწონინე.

ლიფტით მეშვიდე სართულზე გავჩნდი, ჯიბეზე ხელი მოვიფათურე და ელვასავით გამკრა უსიამო ფიქრმა. ერთხანს გაოგნებული ვიდექი და დაჩუტული იმედივით მეჭირა ხელში რეიტუზის ერთადერთი ამობრუნებული ჯიბე!..

ძალიან არ მინდოდა დამეჯერებინა, რომ ამ დიდთოვლობას ბინა გამომეკეტა და გარეთ დავრჩი, მაგრამ დაგმანული რკინის კარი დაბეჯითებით მარწმუნებდა ამაში.

სათადარიგო გასაღები სამსახურშიც მქონდა, მაგრამ სეიფის საკეტიც ბინაში მომიყვა. სხვა გზა არ იყო, ქალაქგარეთ აგარაკზე უნდა წავსულიყავი!..

რკინიგზის სადგურისაკენ წავედი. საყიდლებზე გამოსული რეიტუზის ამარა კაცის დანახვა მაინცდამაინც არ უკვირდა ხალხს, მაგრამ საგარეუბნო მატარებლის ვაგონში რომ ჩავჯექი, აქ კი ბევრმა მესროლა ალმაცერი მზერა, ზოგმა საფეთქელთანაც კი მიიტანა თითი და დაატრიალა.

გარეთ ბარდნიდა, ვაგონში კანტიკუნტად შემოდიოდნენ ტანსაცმელდათოვლილი მგზავრები. სიცივემ ამიტანა, მაგრამ იხტიბარს მაინც არ ვიტეხდი — ყელმოღერებული ვიჯექი, სპორტსმენობას ვიფერებდი.

ვაგონის ტამბურში ქალბატონი შემოვიდა, ტანსაცმლიდან თოვლი გადაიფერთხა და თავისუფალი ადგილები შეათვალიერა. საყელოზე ბეწვმოვლებული პალტო ეცვა, მკლავზე კი მამაკაცის „დუბლიონკა“ ჰქონდა გადაკიდებული. თვალებად ვიქეცი. ალბათ შემამჩნია და პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა, დაკავებული ხომ არ არისო, ყასიდად იკითხა და ვიდრე ჩემს წინ ჩამოჯდებოდა, „დუბლიონკა“ მოიხსნა მკლავიდან, ჩამოკიდება დააპირა, მაგრამ რა დაგიტოვებია, რას ეძებ?! — ჩემდა საბედნიეროდ საკიდრებისაგან გაძარცული იყო ვაგონი!..

ქალბატონმა უმწეოდ მიმოიხედა, შემეშინდა, სხვა ვაგონში არ გავიდეს-მეთქი, გულდაწყვეტით შევხედე. ფუმფულა, სიცრულისაგან ავარვარებული ქალბატონი იდგა ჩემს წინ და მომხიბლაობის თბილ ბურანში მხვევდა!.. წამოვხტი!..

— მომეცით, ქალბატონო, მაღლა, საბარგულზე შევდებ! — „დუბლიონკას“ წავატანე ხელი.

ქალბატონმა მოწყალედ გამიღიმა.

— კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ!.. თქვენ რომ წამოგესხათ, არ აჯობებდა?.. ასე შილიფად გაცვიათ!..

— ბინა გამომეკეტა, ქალბატონო, საყიდლებზე გამოვედი და...

ქალბატონმა ბოთლებითა და ქილებით ამოჩხორილ ჩემს ჩანთაზე გადაიტანა მზერა, მერე კვლავ ამხედ-დამხედა.

— ახლა რას აპირებთ? — მის ხმაში თანაგრძნობა და წუხილი უნისონად აჟღერდა, „დუბლიონკა“ გამომიწოდა და დასძინა: — ჩაიცვით, უკეთ დაგათბუნებთ!

„დუბლიონკა“ გაფაციცებით მოვირგე ტანზე და ჩავიბურტყუნე:

— აგარაკზე მინდა ავიდე, სათადარიგო გასაღები იქ მეგულება.

ქალბატონმა მოწონების თვალი მკიდა.

— ნათხოვარი მოგიხდებათ, მართალი უთქვამთ! — ჩაილაპარაკა.

საამოდ დამთბა, გუნება გამომიკეთდა.

— ვისი „დუბლიონკაა“, ქალბატონო? — მხრები გავშალე.

— ქმარი დავაწვინე საავადმყოფოში! — ამოიოხრა და სახე დაუწნალევლიანდა.

— სერიოზული ხომ არაფერია? — ვითომ დიდად შევწუხდი.

— ოპერაცია!.. — ხელი პალტოს ქამართან მიიტანა და ქვემოთ ჩააყოლა.

თიაქარზე ვიეჭვე, მერე აპენდიციტი გამახსენდა, მერე — ბუასილი და უსიამოდ შემაჟრჟოლა.

ვაგონი თანდათან ივსებოდა ხალხით, სანამ ჩვენს გვერდითაც დაჯდებოდა ვინმე, ქალბატონმა უკვე იცოდა ჩემი ვინაობა და აგარაკის მისამართიც, მე მხოლოდ სახელი ვკითხე და ამას დავჯერდი, ლატავრა მქვიაო, მომიგო.

— ამდენ ხალხში ნულარ გაამხელთ, რომ სხვისი გაცვიათ, აგარაკამდე გადროვებთ!.. სირცხვილია, ასე მსუბუქად ჩაცმული სად გამოჩნდებით?!.

მადლიერი თვალით შევხედე, მომდევნო ბაქანზე ორივენი ერთად ჩავედით მატარებლიდან. შორი სოფლისაკენ მიმავალ ავტობუსს აგარაკამდე გავყევით, ლატავრა ჩქარობდა, „დუბლიონკას“ უკან წამოვიღებ და მომდევნო მატარებელს გავყვებიო, მეუბნებოდა, გადასახვევიდან აგარაკამდე ფეხით ვიარეთ, ყველაფერი თოვლში იყო ჩაჩუმქრული. დაგმანულ ჭიშკარს მივადექით. სამალავში გასაღები მოვძებნე, კუტიკარიც გავაღე და სახლის კარიც, მერე შიგნით შევედი და ამაოდ ვჩხრიკე ყველა უჯრა და ზარდახშა, თბილისური ბინის გასაღები არსად იყო!..

— რა გეშველება? — შეწუხდა ლატავრა.

— ორშაბათს სამსახურში მივალ, ბანკიდან ხელოსანს გამოვიძახებ და სეიფს გავახსნევინებ.

— დღეს პარასკევია, მანამდე აქ რა გაგაძლებინებს?

— სანოვაგე მაქვს, არც შეშა მაკლია, დავანთებ ღუმელს და მოვილხენ ეშმაკებთან ერთად.

— რაკი საქმე ასე შეტრიალდა, „დუბლიონკას“ დაგიტოვებ და თბილისში მოგაკითხავ წამოსაღებად, — მითხრა და წასასვლელად აწრიალდა;

— მოითმინეთ, ასე უჭმელს როგორ გაგიშვებთ, თანაც სამსაათიანი მატარებლის დასახვედრად ავტობუსი ცოტა გვიან ჩამოივლის!

როგორც იქნა დავითანხმე, ფიცრულიდან შეშა შემოვიტანე, ღუმელი დავაგუზგუზე, იატაკქვეშა საკუჭნაოში კიბით ჩავეშვი და ღვინოსთან ერთად ლორის ნაჭერიც ამოვიტანე.

ცოტა ხნის შემდეგ მე და ლატავრა ტანსაცმელმოშილიფებუ-



ლები ვუსხედით სუფრას და მოშიებულები მადიანად ვილუკმეობოდით.

უნინ მისი ქმრის კარგად ყოფნის სადღეგრძელო დავლიეთ, ლატავრამ მდუღარე ცრემლი აფრქვია, მაგრამ მარტივით მაშინვე გამოიდარა.

— ბავშვებიც გყავთ? — ვკითხე.

თავი გადააქნია და ამოიოხრა. ვანუგეშე, თქვენ მეუღლე მაინც გყოლიათ, მე არც ის მყავს-მეთქი.

იმ მთისა ვთქვით, ამ ბარისა და ამასობაში გაგვეპარა დრო, ლატავრამ საათზე დაიხედა და — სამსაათიანზე დამაგვიანდაო, დაიკვნესა.

ცოტა ხანს კიდევ დავრჩით სუფრასთან, მერე კი ჩემი ძვირფასი სტუმარი საღამოს მატარებლის დასახვედრად მიმავალ ავტობუსს გავაყოლე. გულდანყვეტილი დავბრუნდი უკან. უკანასკნელი ხმის გამცემი წამერთვა და მეუდაბნოე ბერივით მარტო უნდა ვყოფილიყავი ორშაბათამდე!.. წიგნებს წამოვუარე.

ჩამობნელდა და, რომ აღარავის ველოდი, მაშინ მომიკაკუნეს. ვეცი კარს, გამოვაღე და სახტად დავრჩი — ლატავრა იდგა ჩემს წინ!..

— ავტობუსი მოცურდა და ბენზე გადავრჩით!.. — შიშისაგან ლამის ენა ჰქონდა წართმეული.

ვანუგეშე, პალტო გავხადე და ღუმელთან მივიყვანე, სუფრა ხელდახელ გავაახლე. ჩვენი საუბარი უფრო მეგობრული და ღია გახდა. ისე გავერთეთ, დაძინების დრო რომ მოვიდა, მაშინღა გამახსენდა, რომ მხოლოდ ერთი საწოლი მედგა აგარაკზე და ერთი ხელი ლოგინი მქონდა. გამოსავალს იოლად მივაგენით — თავშექცევით დავწექით!..

დილით რომ გამოვიღვიძეთ, ორივეს ერთ ბალიშზე გვედო თავი და ისე ვირჯებოდით, როგორც ერთ ბალიშზე თავდადებულებს შეშვენით!..

ლატავრა გავისტუმრე, ოღონდ იმ პირობით, რომ მომდევნო შაბათს აქ მეწვეოდა და აქედან წაიღებდა „დუბლიონკას", მაგრამ მომდევნო კი არა, კიდევ ორი, მომდევნო შაბათი ისე გავიდა, ლატავრა არ გამოჩენილა!..

შიში შემეპარა, ხომ არაფერი შეემთხვა-მეთქი. თვე მიიწურა და უცნაური წერილი დამხვდა აგარაკის საფოსტო ყუთში:

„შეგიძლია „დუბლიონკა" შენად ჩათვალო და თავისუფლად იხმარო!"

ვიფიქრე პროვოკაცია არ იყოს-მეთქი, „დუბლიონკა" ნაფტალინიან ცელოფანში შევახვიე და საგულდაგულოდ შევინახე.

ამასობაში მარტიც დადგა და ზამთარმა კუდი სწორედ სარვამარტოდ მოიქნია. რვა მარტი ორშაბათს დაემთხვა და მე სამი დღით კვლავ აგარაკს მივაკითხე.

ჭიშკარიც და სახლის კარიც ღია დამხვდა, გულმა რეჩხი მიყო. ვიფიქრე, ვინმე მოხეტიალე წყვილი იქნება, გუგულებივით სხვის ბუდეებში რომ უყვართ რუკრუკი-მეთქი, საჩხუბრად მოვემზადე. თურმე უარესი განსაცდელი მელოდა. ზღურბლს გადავაბიჯე და იქვე გავხევდი: ღუმელთან შავებში ჩაცმული და შავრიდემოსხმული ქალი იჯდა, კარის ხმაურზე თავი რომ ასწია, მაშინღა ვიცანი ლატავრა!.. წამოხტა, აცრემლებული მკლავებში ჩამივარდა და გულამოსკვნით აქვითინდა. მოულოდნელობისაგან დავიბენი, მაგრამ მალე მოვედი გონს, სხვა რა დამრჩენოდა, მზრუნველად ვუსვამდი ხელს აწენილ თმასა და აძიგძიგებულ მხრებზე, ვეფერებოდი, ვამშვიდებდი!..

საღამოს თავშექცევით აღარ დავწოლილვართ. ლატავრას შავები აღარ ეცვა, მოვარდისფრო პერანგის ამარა იწვა ლოგინში.

„რვა მარტი დგება, მე კი უბრალო საჩუქარიც არა მაქვს!" — გავიფიქრე და მაგიდაზე მიყრილ ქალის სამკაულებს დავხედე.

— ქალბატონო ლატავრა, დროებით, სანამ ვიყიდიდე, თქვენს ქორწინების ბეჭედს ხომ არ მათხოვებდით?

გაკვირვებით შემომხედა.

— ქალი მინდა დავნიშნო!— ვუთხარი და მუხლი მოვიყარე მის წინ. თვალებით მანიშნა, აიღეო. ბეჭედს მივწვდი, მერე მოწინებით ავიღე ლატავრას ფუნჩულა თეთრი ხელი, ვეამბორე, შუა თითზე ბეჭედი წამოვაცვი და ლოცვასავით წარმოვთქვი:

— თქვენს ფერხთით დამიდვია, ქალბატონო, თქვენდამი სიყვარულით მფეთქავი ჩემი ერთადერთი გული! — მიწამდე დავხარე თავი.

— აი სარვამარტო საჩუქარიც ამას ჰქვია! — ვნებიანად დაიკვნესა ლატავრამ და თმით ამწია — ლოგინამდე ამამაღლა.

ღამე ჩემს სჯულიერ მეუღლესთან გავათიე, დილით კი მატარებელი ორივეს დედაქალაქისაკენ მიგვაქროლებდა. მე თავი ქუდში მქონდა და ცოლის მზითევი — „დუბლიონკა" მეცვა.

ლატავრას თავით ფეხამდე შავები ეცვა და სახეზეც რიდე ეფარა, ვინც შეხედავდა, ყველა მონინებით განზე დგებოდა, ადგილს უთმობდნენ, ოხვრითა და ვიშით თავიანთ თანაგრძნობას გამოხატავდნენ, ქალობას უქებდნენ, მკვდარი მეუღლის ერთგულებას უწონებდნენ!..

ნეტავი ზოგი ჩემთვის ეკითხათ!..

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



სოფლისა ქალაქისა

ნახ. ძ. დეისაძისა

ნინო სალუქვაძეს

არის ვარსკვლავები,
მაგრამ
არის ვარსკვლავები — კაბა!
სნორედ კვანიარსკვლავია
ჩვენი ნინო სალუქვაძე!

ომს არ გირჩევენ
ქარმაველებთან! —
ქვას არ დგიტოვებს ქვახე!
ქალეიდოსკოპში პირველს
ელოდა ნინო სალუქვაძეს!

მედეა ჯაფარიძეს

ქმარი რეფისორია და
კომედიაგრაფი!
ახლა — ლაშა!.. ქოქის ნაცვლად
მიტომ ფიქრს გრაფინს!

გაუმარჯოს შენს ოჯახს და
შენს მშვენიერ როლებს,
მედეას მსგავს შეიფეს, დედას,
დეს, რძლებსა და ცოლებს!

სონია ციციშვილს

(ფურნალ „ნიანგის“ რედაქციის გამგეს)

სიკვდილს დავიწყებიხართ,
ქალბატონო სონია!
თქვენი ნაშრომ-ნაღვაწი
ჩვენ ვერც აგვიწონია!

კაი ქართველი ქალი
ბეერი გაგვიგონია!
ერთი ითმაგანი ხართ,
ქალბატონო სონია!

გუნა კეკანაცხელიას

ხუთი შეილის დედას
ასე გლოცავს ერი:
ხუთგზის პოეტი ხარ,
ხუთგზის — მეცნიერი!

მშობლიურად ქართული
რომ ჩაწერე ენა,
იმ ხალხს არ ეწყინება,
შენ მეგრელო, მენო?!

მანანა ბიგბინიშვილს

ენახეთ შენი მრისხანე
ეპისტოლე — „ზონა!“
ბაჯაღლო ხარ ნამდვილი
ზუსტად მგრების წონა!

მარად ნიტარ დედათა
ხარ სისხლი და ხორცი!
ცრემლშეშმარალი ბავშვახოს
შენი ცხეირსახოცი!

სულიკო ქერესელიძეს
(თბილისის ცენტრალური უნივერმაღის დირექტორს)

ვერ გაგიხარებთ, ეტყობა,
ამ ქალის გადგომიდენი —
ეაცსო, მყოფელნი იყოდა
და ბეერად გადამყოფელნი!

საკბილოს ჩვენსას ვეძებდით,
ვერ ენახეთ, დაკარგულიეო:
რაც ჩვენთვის დაიხარეკენ
დამაღეს,
დახლზე დაყარა სუფიკომმ!..

მარიკა ლორთქიფანიძეს

მგტერმა მგტრს თვალით ანიშნა,
თან მხარი ნაკარა: — არიქა!..
მგტრის რისხვა, მოყვრის
ღიმილი —
ლორთქიფანიძე მარიკა!

ასე იყო და ასეა —
მგტრის რისხვა, მოყვრის ფარი
ხარ!
გიბეფნიერის სამშობლო,
ლორთქიფანიძე მარიკა!

მაია ბიეპარდანიძეს

ახლაც შენ ხარ უდიდესი!
ასე იყო, „კვლავ ასეა“!
გვყვარა შენი! — დეს! —
პოეტგარეს! —
ჩაუტარებ ბოლოს სეანსს!

ნინო ანანიაშვილს

მაგ ლეთიბერიკი ნანტარმით
ზოგჯერ თბილისშიც ჩამოხტი,
ოორემ ხომ ხედავ, თბილისელებს
ნატვრა ცრემლებად ჩამოგვედის!

ლიანა ისაკაძეს

ხან რომშია ისაკაძე,
ხან - ბონშია ისაკაძე,
ცხრა წელია არვინ იცის,
სად შეხვდება ის ახალ წელს!

ყველაფერი მარტივია
და ოიელად გასაგები:
როგორაცა ჩანს, მზოლოდ მას
აქვს
ვოლინოს გასაალები!

ანა კალანდაძეს

რა უნდა ვოქვა საქართველოს
პოეზიის ალამდარზე?!
ცოცხლობდეს და
მზეგრძელობდეს
დიდი ანა კალანდაძე!

რა კარგია, მეზა მეზას
ხელიდან რომ კალამს სტაცებს!
ეს აქ ხდება, სად მავიდას
ეზოს ანა კალანდაძე!

ნინო რაჰიმეიელს

ირემს გაეცარ დაცალებულს,
უფრო სნორად — ჯეირანს!
ისევ შენი ღიმე�i და
ჯეირნების ჯერია!

მე რას დაეგენერ, რაც მსოფ[illegible]
შენზე დაუნერია!
ჩვენი დიდო ქალბატონი[illegible]
ოთხმოცი წლის ფერ[illegible]

სესილი გოგიბერიძეს
(საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს)

არა, ის, ვინც კომკავშირში
არის ბნელ ზრახვით შესული, —
მე ქალი მიყვარს შენდგარი, —
ლაშარი, ბრაქნი, ხნერსულელ!..

დაკვითის ლაშერის ნეკრებმა,
ნამდვილმა პატრიოტებმა,
იხარეთ! ღმერთმა შეგახსოოთ
თეორქთა, სულრუკოა ოტბებსა!..

ნანი გრიგოლაძეს და ეკა ბუმბერაძეს

რახანია, ჩვენს ცხოვრებას
ამშვენებთ და ალამაზებთ
ფუდა — ნანი ბრეგაიძე და
ზეიელ — ეკა მამალაძე!

რა ეუსუფრო ან თაეს, ან თქვენ
რა გისუფრეთ უფრო მეტი:
თქვენმე ჩვენსაკენ სულ
გაგეკობდეთ
ღვთიკმენი ეს დუეტი!

ნაირა გელაშვილს

ნუეის უკარნ, ნეარც ნურაკინ
ნუ გიოგეს სსეანარაკ,
მაგრამ არ ვოქვა? — არ
არსებობს
შენნაირი სხეა ნაირა!

ირმეს გაკვეე უნდა მოეპში

და იქ ქვაბარილი ლოკო,
მნერალი და
მთარგმნელი და
მოლეანეკ და
ეკოლოგო!

მანანა ლუფანაძეს

მიეესალმები მანანას —
ნოდარ ფეფმაძის ქალიშვილს!
კეიკი კეიკია, ძამია,
და გვარზე ხტრიმანა არ იმლილ!

მეენიერია, მთარგმნელი,
როგორც გიორკეა — მნერალიკ!
ბოლომდე ეოლვას სთაკეკლი,
დაეეაკრის ყველა მნეერეალი!

ქეთევან მეთაფიშვილს
(საქართველოს ბელეეეგიზის დიტტორს)

ცისფერ ეარაბნე ცისფერი
რომ გიოდეკეს თეალები,
ოეალს ჯერ ეალიელები ეაცვენ
(ეერც, სხეთა ბოროს, ქალები!).

ტკბილმოუბარო, ლამაზო,
ეეთილო, ზრდილო, ქეკეანო,
ამდენს რომ ერთად გეოყვარბარ,
ის ბიჭი არ ყეეეარბოს!

ნანა მეეელიძეს
(ეინორეგისორს)

თუმეც სხვებივით ვარ ხუსტი და
თუმეც სხვებივით ვარ მეე
ქალი, —
მე ეკადაეე ის ფიალი,
დიახ! — „პირველი მერეხალი“!

„დამა“ „დამა“, და მაინეც,
ნუ დაეეედეთ „დამაში“!
არ შეგიძლიან, ბატონო? —
ჩვენ დაეკანეტეთ თამაში!

დალი ბაკლიშვილს
(ადიგენელ მეკანიზატორს)

მარილეა დალიეიერ ფალი ხარ,
ფაბალოვეკეი ქალლმერეოს!
ვინც შენი ეკარი ნაბაალოს,
იმისი ხელი ბაბმეს!

ლრმადა ვარ დარწმუნებეული,
ეკენები დეპუტატებ!
შენხარეარი, მაგალი ლმერთს,
ჯერ ქვეყნად ეფერი დადის!

როზა ჯანგლაეაეს
(ექიმ-ფსიქიატრალოგს)

ჭკეანანაც და უმეკუთაც —
ეეელამ ეიეეი თქვენი ყაფრი!
ამდენ გიე კაფ...ეს გაფრიდენი
ერთი ქალი — ფსიქიატრ!

ირმეს ბალეეი ეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარევი

უსიტყვოდ

ნუკრია შველიძის ნაამბობი

(ვაჟა-ფშაველას მიბაძვით)

პანტა ვ ა რ, ობოლი. ცოლმა დამიბრიყვა: ცუდ დროს ჩამიგდო ხელში. ტანზე მაცვია მოკლე, გაქუცული, ცხიმის შხეფებით დალაქავებული თხელი პიჯაკი. რქები კი არა, ჯერ სიბრძნის კბილიც არ ამომსვლია, წვივებიც არ გამმაგრებია!..

გზადაკარგული დავდივარ. აი, დახედეთ ჩემს სისხლიან მაჯას— ეს, ლუდის დასალევად რომ შევედი ლუდხანაში, ტოლჩაზე გავიჭერი!.. გული მიწუხს!.. საბრალო დედაჩემი!.. მანამ დედა მყავდა ცოცხალი, სულ ალერსში ჰყავდი: ძუძუს მაწოვებდა, მიალერსებდა!.. რაღა მეშველება მე საბრალოს ახლა?! ძუძუს ალარა ვწოვ, მხოლოდ ცოლის მოთუხთუხებულ სალაფავსა ვსრუტავ დილით და საღამოთი!..

ვერ გავცილებივარ სახლს. თუ გავედი ქუჩაში, უბანს არ უნდა მოვცილდე, სულ აქეთ-იქით უნდა ვიყურო, ვეფარო ბოძებს, სახლის კუთხეებს, ხეებს და კანკალით ვჭამო სოსისი, შიშისაგან ზეზეურად უნდა დავდნე!.. რას გიშავებ, ცოლო, მითხარი, რას?!. ოჰ, ცოლებო, ცოლებო! თქვენს ხერხსა და ალღოზე ხართ დაიმედებულნი და ჩვენი ჯავრი არა გაქვთ!.. არა გრძნობთ თქვენის შეუბრალებელის გულით, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, სოსისის ტკაცუნი, ლუდის ჩხრიალი, რომელსაც სულგანაბული ეგრე ხშირად ყურს ვუგდებ ხოლმე, ქაფის შიშინი და ძმაბიჭებთან ერთად ნავარდობა!..

თქვენ კი, ოჰ, ცოლებო! თვალებდასისხლიანებული, გაფაციცებული დაგვეძებთ მე და ჩემს ფერს სუსტსა და უპატრონოს ათასს სხვას!.. დაგვინახავთ, მოგვეპარებით, მუხთლად ხელში ჩაგვიგდებთ და გამოგვასალმებთ ლუდხანას!..

როგორ არ უნდა მეშინოდეს?..

ნუგზარ აფხაზავა

ნაკვესები

● არ გაჰყვა ცოლად არა იმიტომ, რომ საქმროდ დაიწუნა, თბილისში ბინა არ ჰქონდა!..

● სიდედრს არ ელაპარაკება, სიდედრის გაკეთებულ საჭმელს დღეში სამჯერ ჭამს. ეტყობა, სიდედრი მზარეულის როლს ასრულებს, თვითონ კი კლიენტს ასახიერებს.

● შალვამ სოფელში სახლის კარ-ფანჯრები რომ აჭედა, დედის სურათს თვალები ცრემლით აევსო!..

დიალოგი

— ვერ ისწავლა, კაცო, ამ ქალმა ჭკუა!
— რავა ვერ ისწავლა, აბაზიანს მანეთად ყიდის და!..

ვერტერ ოკუჯავა

სამაჭანკლო გარიგება

სარძლოს გირჩევ, ჩემო ძმაო, „სუპერსა“ და დიპლომიანს,
ნაფაზს ურტყამს ზომიერად, „ბლატიანი“ ღიმილი აქვს!
ახლა ოჯახს აღარ იტყვი? — „დაცუნები“, „ჟიგულები“,
ოქრო-ვერცხლი, ბრილიანტი, „იკრა“, ზუთხი, „პიკულები!..“
თან — ვიდეო უახლესი, უცხოური კასეტები!..
შინ ისეთი გრიალი აქვთ, შეიშლები, გაშეშდები!..
დიდი კერძო ბინა, „დაჩა“ მოწყობილი, გაწყობილი!..
ჩემო ძმაო, მე მგონია, უნდა იყო კმაყოფილი!
გოგო — „შუსტრი“, „ფაიზალი“, თამამი და დედისერთა!
არ გამადლი, მაგრამ, სიმონ, მოგვევლინე, მგონი ღმერთად!

განცხადება

ვარ 35 წლის სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი, მსურს შევქმნა ოჯახი, საცოლედ ვეძებ ნებისმიერი ასაკის თვითდაფინანსებულ გასათხოვარ ქალს!

ჯონი ბაზერაშვილი

ღია ბარათი ქალბატონ ნატოს და ზოგიერთ ქართველ დედას

— რამდენ შვილს ზრდი, ქალბატონო ნატო?
— რამდენი მყავს?.. რამდენი და... ერთი.
— სამი, ოთხი არ ისურვეთ? რატომ?
საამისოდ არ გწყალობდათ ღმერთი?
— როგორ არა, მაგრამ... მაგრამ... მაგრამ...
მიზეზები? ო, ნუ მკითხავთ ნურვინ,
გაუმარჯოს ბათუმს, ფოთს და გაგრას,
ვიყავ, ვრჩები მოტრფიალე ცურვის.
— მერე, მერე ქვეყანა და კერა?
— სხვებმა ზარდონ, მე ერთი ვარ ასე,
საქართველო მე ვამრავლო? ვერა!
მე ღვთისმშობელს... მართლაც დავემსგავსე.
— ქონებრივად როგორა ხართ ისე?
იქნებ გიჭირთ ან გაშფოთებთ რამე?
— ერთმა დედამ მოგვივლინა ქრისტე...
და ამიტომ ბევრის ყოლა დავგმე!
— ცდებით, ცდებით, ქალბატონო ნატო,
მაგ ცდუნებას გული როგორ იტევს?
ერთი შვილის გაღმერთებას ნატრობთ?
(ასე ნატრობს ათასობით დედა;
„ერთი იყოს, იყოს მართლა შვილი!“)
ეს ხომაა უაზრობა, ვბედავ,
ეს ხომ არის ამოწყვეტის ჩრდილი?!
მსოფლიოს ხომ ჰყოფნის ერთი ქრისტე?
ამჟამიერ საქართველოს იცნობთ?
ამერ-იმერს ძველითა და ახლით?
რას შემატებ, რა სიკეთეს მისცემ
დღევანდლობას იმ შენ ერთი ბალღით?
გოგონები? — გვინდა! ბიჭუნები? — გვინდა!
ისინი ხომ არ მოგვივლენ ციდან,
თამარ, ბექა, მზია, ლელა, საბა!..
ვინ ამძლავროს სოფელი და დაბა?
ხომ გაიგეთ, ქალბატონო ნატო,
ერთი შვილი უშვილობას ნიშნავს!
თითოსაგან ოთხ-ხუთს, მეტსაც ვნატრობთ,
თუ იქნება, მაშინ არა გვიშავს!

დავით მურმანიშვილი

ბერკენ შეთავაზები

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავთვალა ციალა და ლურჯთვალა მაყვალა
(გოგონებს, რომელთაც სახელები მათი თვალების ფერის მიხედვით არ ჰქვიათ)

სულში ისევ იფრთხიალა სევდამ ნასათუთარმა:
გზად ორ ასულს გავეცანი — შავთვალას და ლურჯთვალას.
თურმე ერქვა იმ ასულებს (მათმა ეშხმა დამღალა!) —
იმ შავთვალას ციალა და იმ ლურჯთვალას — მაყვალა!
ერთს შევხედე — განცვიფრების ცეცხლმა გაიბრიალა,
გიშრისთვალა გოგოს რატომ უნდა ერქვას ციალა?!
სხვას შევხედე — აქაც სევდამ ძარღვი ამიკანკალა,
ცისფერთვალა გოგოს რატომ უნდა ერქვას მაყვალა?!
აქ სახელი თვალთა ფერის არ არს გამომსახველი,
თვალთა ფერი სულ სხვა არის, სულ სხვა არის სახელი!..
და არ სჯობდა, რომ რქმეოდა იმ ორ სიოს ცქრიალას —
იმ შავთვალას — მაყვალა და იმ ლურჯთვალას — ციალა?!

ოჯახი და ფილოსოფია
(სარკასტიკული გახუმრება)

მეც წიგნებს ჩავკირკიტო, შენც წიგნებს ჩაჰკირკიტო,
ოჯახში ქვაბი ცეცხლზე ვინღა შემოდგას ვითომ?!.
ოჯახს ხომ ორი „ბრძენი“ არა სჭირდება, არა,
ოჯახში ერთი „ბრძენი“, ვფიქრობ, სავსებით კმარა!
ოჯახი „ფილაფოზთა“ კერა როდია ეგე,
არ საჭიროებს ჰეგელს, არ საჭიროებს შლეგელს!..
ვინ გაპატიებს, საჭმელს თუ ვერ აკეთებ მარტივს,
თუმც ყველა მოგიტევებს, თუკი არ იცი კანტი!..
არვინ არ შეგიწყნარებს, თუ ვერ გარეცხავ სამოსს,
თუმც ვინ გაგლანძღავს ბერკლის უცოდინრობის გამო!..
ყველა გაგკილავს, ბინას თუ ვერ ალაგებ მალე,
თუმც ვინ გაგკიცხავს, როცა ვერ გაიხსენებ თალესს!..
და ოჯახს არა აზრი ფილოსოფოსთა სკოლის, —
დიასახლისი მარჯვე სჭირდება პირველ ყოვლის!

გახსოვდეს ესე მცნება, თუკი გსურს გახდე ცოლი!..

საკვალალო ჰეტაპორფოზა
(მხოლოდ ზოგიერთი ქალის მისამართით)

ზოგ-ზოგი გოგო უმაღლესს რომ მიაკითხავს, იცვლება,
ის განათლებით ივსება და ჭკუისაგან იცლება!..
რა ხდება? — ის უმაღლესში ეს რა სანამლავს ღებულობს,
რომ მასში ცოდნა მატულობს და შინაარსი კლებულობს?
რომ იწყებს ფრენას ჰაერში, სდევს შორ ვარსკვლავებს
მბჟუტავებს,
ასულელ-ატუტუცებს და ძალზე აქარაფშუტავებს
მას უმაღლესი! — უდაბლესს აღარ უტოვებს გონებას.
იმ გონებასაც. — რაც დარჩა, სხვა რისხვა დაექროლება.
ორივე ფეხით ოდესღაც თუ იდგა იგი მიწაზე,
ახლა ის სწყდება ამ მიწას, აწ სხვა ფერები იტაცებს
და მორთავს ფარფატს ჰაერში, წინ სხვა გზა გადაეხიდა,
და იგი ყოფილ მიწაზე აღარ დგას ცალი ფეხითაც
და უვლის ქალი ცის სივრცეს ცარიელ თავის ქალათი,
მჩატე, ვით ჩიტის ბუმბული, ანდა — უნიჭო ბარათი.
თუ იყო მორიდებული, აწ გახდა ძლიერ თავხედი,
კრძალულ კვიციდან ჩამოხტა, აწ გზას განაგრძობს სახედრით
და ვეღარ არის ეს მასში ნაალერს-ნაამბორალი
განათლება და კულტურა, განათლება და მორალი!..
ხანდახან მტკაველ სიგარეტს გაიჩრის პირში ამაყად,
დროდადრო ეზიარება „შამპოს“, „კონოს“ და არაყსაც!..
არის შემთხვევა: ნარკოტიკს მიეძალება, ბრუვდება
და იმის შემდეგ საღ განსჯას ის ვეღარ დაუბრუნდება!..
ხანაც აპყვება ის კიდევ სხვა ნაირ-ნაირ მიქარკვებს,
დაეხარბება ჰედონიზმს და იშტას ვერ განიქარვებს!..
...არა სწორი გზით, მან მრუდე ბილიკებით სვლა ინება
და ესე მეტამორფოზა მის კვიმატ სულის ცვლილებად
იქცა და თუკი უმაღლესს ის აბარებდა გამოცდას,
გამოხდა ხანი, ეს გოგო გაუცნაურდა საოცრად
და ახლა იგი ცხოვრებას ვეღარ აბარებს გამოცდას!..

ლაზღანდარა ქალების ყოველდღიური რეპერტუარიდან
(ცალკეული შტრიხები)

შეიყრებიან, ერთურთის ჯიბრად,
ბასრი ენების მორთავენ ჯირითს,
მხოლოდ იმ ამბის შეტყობა ხიბლავთ,
ვისა აქვს ლხინი, ვისა აქვს ჭირი,
სად არს ძეობა, დღეობა სად არს
ან პანაშვიდი დღეს არის ვისი,
წასვლა-წამოსვლის იხშობენ მადას
და მეორე დღეს იწყებენ სისინს:
ვინ ცოცხალია, ან ვინ მკვდარია,
ვინ რა შეჭამა, ვინ რა დალია,
ვის რა ახურავს, ვის რა აცვია,
აქვთ საშინელი განამაწია!..
ამ ბიჭმა როდის შეირთო ცოლი,
ანდა ეს გოგო გათხოვდა როდის,
ვინ გაიტანა ცხოვრების გოლი,
ან ვინ კვლავ ბედის განაგრძობს ლოდინს.
ვინ ცოლს ვერ ირთავს, ვინ ვერ თხოვდება,
ვინ ცოლს ეყრება, ვინ ქმარს შორდება,
ვინა ჭამს თქვლეფით, ვინა ჭამს სვლეპით,
ვინ სულ შიმშილის გამხდარა მსხვერპლი,
ან ვის ნინ უდგას რა ფერის თეფში,
ან კოვზი როგორ უჭირავს ხელში,
სუფრაზე ხმარობს ცხვირსახოცს ხშირად?
ფაქიზად სუნთქავს, თუ ძალზე ქშინავს!..
ან ესტრადაზე როდესაც მღერის,
თუ ებერება ძარღვები ყელის.
ან ღვინოს რომ სვამს, თუ იცვლის იერს,
მისი ყანყრატო მოძრაობს ძლიერ?!.
ამ კაცს კი ნაღდად ბითური ჰქვია,
რომ იხორხოცებს გულით და ხარბად —
უნებურ პირი დარჩება ღია,
პირი აქვს? — თითქოს არც ახსოვს ალბათ.
ის ქალი როცა ამთქნარებს, პირზე
ხელს არ იფარებს და ისე გვიმზერს,
ის უსინდისო, თითქოს გვსურს მართლაც
მისი ჩოღერა კბილების დათვლა,
შიშველ კბილთა რომ გვანუხებს ხილვით,
რა? ექიმები ვგონივართ კბილის?
პირს ისე აღებს ფართოდ და ამოდ,
თითქოსდა, ყველას ჩაყლაპვას ლამობს!..
როცა ვუყურებ იმის მთქნარებას,
ჩამყლაპავს! — შიში მეც მეპარება!..
როცა ამთქნარებს, ძნელია მერე,
ვერ აიფარებს იმ პირზე ხელებს?!
...და ლაყაფს ერთურთს არავინ აცლის
და ქალთა ჭორის იზრდება ხვავი:
ამან არაყი გადაჰკრა ანწლის,
იმან კი ხუხა არაყი ჭვავის.
ეს კი საბრალო მარტო ჩაის სვამს,
ის არც ჩაის სვამს, წყალსა სვამს მარტო,
ეს კაცი იმ ქალს ირთავს გაისად,
ვაი ისეთი ჩერჩეტის პატრონს!
...დღეა თუ ღამე, მწუხრი თუ დილა,
არ ისვენებენ სიტყვები ქუფრი:
— ვერ შეიბნია პალტოზე ღილი?
— ვეღარ შეიკრა ზონარი ტუფლის?

. . .

და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ!..
ახლა კი, მგონი, დრო არის შევდგე,
თორემ ამ ჭორებს, ამ ლაყაფს მკვახეს
აბა, სადამდე, სადამდე ჩავყვე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

«პიკის» ქალი

იუმორესკა

კაჭიჭის ხეივანივით დახუნძლული ავტობუსი ღრიჭინ-ღრიჭინით გაჩერდა. როგორც იქნა, მარჯვენა ხელი მგზავრებს შორის შევაძვრინე, ვიღაცის პალტოს საიმედოდ ჩავაფრინდი და ერთი ფეხი თითქმის მთლიანად დავდგი საფეხურზე!..

— თქვენი ჭირიმე, გაიწიეთ ერთი ათი სანტიმეტრით, წვრილშვილის პატრონი ვარ! — შემაბრალა თავი ჩემს პორტფელზე ჩამოკიდებულმა ქალმა.

— შე კაი ქალო, წამოგეყვანა ერთ-ერთი და დასაჯდომსაც იშოვიდი! — თქვა ვიღაცამ.

ავტობუსი დაიძრა.

— მეგობარო, როგორმე უნდა გაიწიოთ წინ, ქალი კიბეზე დგას! — ვთხოვე ჩემს წინ აყუდებულ ახმახს.

— როგორ გავიწიო, ძმაო, ფეხები ჰაერში მაქვს! — მითხრა მან.

გაჩერებასთან მძღოლმა ავტობუსი დაამუხრუჭა. ჩემს ჩანთაზე რომ ქალი ეკიდა, ჩემს წინ მოექცა — პირისახით ჩემკენ. პომადას ტუჩებიდან საულვაშეზე გადაენაცვლებინა, თმა ჩამოშლილი ჰქონდა, ტონი — აქა-იქ მოცილებული!.. დარწმუნებული ვარ, ამ ნილაბში საკუთარი ქმარიც ვერ იცნობდა!.. ისე ახლოს ვიდექით ერთმანეთთან, ქალის გულისცემა მესმოდა. როცა მომდევნო გაჩერებაზე ავტობუსი მეორედ დამუხრუჭდა, ინერციის კანონით თავი ველარ შევიკავე და ქალს საკოცნელ პოზიციამდე მივუახლოვდი!..

— ახლა რომ ჩემმა ქმარმა დამინახოს, დასაბმელი გახდება! — ჩაილაპარაკა.

— ის გახდება და, მე უკვე ვარ! — ვუთხარი და ძარღვებში სისხლი გამეყინა.

— ახლა არ მითხრათ, მიყვარხარო, თორემ გავგიჟდები!..

— ჯერჯერობით არა, მაგრამ თუ ბოლომდე ასე ვიმგზავრეთ, მე მგონი, ორი დანგრეული ოჯახის ხარჯზე ერთს უეჭველად ავაშენებთ!

— ხომ არ შეიშალეთ?!. გამატარეთ, შემდეგში ჩავდივარ!..

— შემდეგში კი არა, ორი გაჩერებით ადრე უნდა ჩავსულიყავი, მაგრამ ვინ ჩამიშვა?!

ქალი აწრიალდა.

— რას აკეთებთ, ქალბატონო?! ჩემს ღილს თქვენს პალტოზე რომ იკრავთ, როგორ გგონიათ, სახლამდე გამოგყვებით?! — ქალი ისე გაწითლდა, ტონის ქვეშაც შეეტყო ფერისცვალება.

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო, მაგრამ თქვენ რომ ჩემი ცხვირსახოცით ორჯერ ოფლი მოიწმინდეთ და ბილეთის ფულიც ჩემი ჯიბიდან გადაიხადეთ, მე გითხარით რამე?! თქვენც ხომ უნდა გამიგოთ!..

ქალმა პალტოს ღილები შეიკრა, გზავრები მხრებით მისწი-მოსწია და წინ გადაინაცვლა. ამასობაში კიდევ დამუხრუჭდა ავტობუსი!..

როდის ან რანაირად მოახერხა ქალმა ჩასვლა, ვერ მივხვდი!.. მოვიხედე და პომადას ნაზად იწმენდდა ჩემი გატკიცინებული ცხვირსახოცით!..

ნიკოლოზ იოსებიძე



ნახ. ი. ყეინაშვილისა



უსიტყვოდ

ნაგავი მოვიდა

იუმორესკა

ერთ მშვენიერ დღეს, როგორც იქნა, ნაგვის მანქანა გამოჩნდა!..

— ზოსიმე, ნაგავი მოვიდა!.. გაქვთ? — დაუძახა მეზობელმა.

— აბა, ვნახო!.. — შებრუნდა და ცოლს ჰკითხა:

— გვაქვს! — უპასუხა ცოლმა.

— რამდენი ვედრო იქნება?

— იქნება ასე... სამი ვედრო!

— არ გვინდა, გვაქვს ნაგავი, ჯერჯერობით გვეყოფა! — გასძახა მეზობელს ზოსიმემ.

მზია მეგალიშვილი



ნახ. გ. აბაშიძისა

უსიტყვოდ

156
22.VI 89

ჭრელ-ჭრელი აზრები

- ყველაზე მძიმე საკუთარი თავია.
- ზოგჯერ ადამიანს ისეთი ჭკვიანური აზრები ებადება, რომ საკუთარი ჭკუა არ ჰყოფნის მათ გადმოსაცემად.
- მიწის შვილები ვართ და მიწის დამუშავებას ნუ დავიზარებთ!
- ზოგიერთი ენაჭარტალა ყრუ-მუნჯის შვილია.
- ბრმამ უფრო კარგად იცის, რა არის სინათლე და ვინ არის ბრმა.
- სულერთია, ცხოვრებას როდის დაიწყებ. მთავარია, ისე არ დაამთავრო, რომ დაწყება ვერ მოასწრო!
- რომელი სჯობს, იყო ჭკვიანი და უნიჭო, თუ — ნიჭიერი და უჭკუო?
- სანამ ჭკუის დარიგებას დაიწყებდე, დაფიქრდი, გაქვს კი იმდენი, რომ დაარიგო?
- რაგინდ უაზროდაც უნდა აზროვნებდე, თანამოაზრეს მაინც ნახავ!
- რაც უნდა კარგად ბაძავდე სხვას, მაინც ჯობია, რომ შენ გბაძავდნენ!

იზო ხასიდია

უცხოური იუმორი

ხერხი სჯობია..

— მითხარი ერთი, ილონა, როგორ გაქვს ყოველთვის ფული? შენი ქმარი ხომ მთელ ქალაქში სიძუნწით არის ცნობილი? — ჰკითხა მეგობარმა ქალმა.
— სრულიად იოლი გზით: როცა ფული დამჭირდება, საჩხუბრად ვიწვევ, ის უხეშობას მიწყებს, მე კი ვემუქრები დედასთან დავბრუნდები-მეთქი. ჰოდა, მაშინვე უსიტყვოდ მაძლევს ასიანს სამგზავროდ!..

ნუგეში

— რაღაც ძალიან ხშირად აქებ ჩემთან შენს პირველ ქმარს, — უსაყვედურა მეორედ გათხოვილ ქვრივს მეუღლემ.
— ჩემო ძვირფასო, როცა მოკვდები, შენზედაც იმასვე ვიტყვი!



თავაზიანობა

— კმარა ჩემზე ლაპარაკი! ახლა თქვენს შესახებ ვისაუბროთ! მიამბეთ, გეთაყვა, როგორ მოგეწონეთ უკანასკნელ ფილმში? — ჰკითხა კინომსახიობმა ქალმა თანამოსაუბრეს.

ქორწინების სიკეთე

— მინდა გაუწყოთ, ბატონო დირექტორო, რომ გუშინ დავქორწინდი!
— ჩინებულია! მე დიდად ვაფასებ ცოლიან თანამშრომლებს: ისინი სამუშაოს შემდეგაც სიამოვნებით რჩებიან კანტორაში!

ზოგი ჭირი

— ექიმს გამოუძახე, საკინძი გადამეყლაპა! — უთხრა ქმარმა შეშფოთებით ცოლს.
— არა უშავს. შენს სიცოცხლეში ერთხელ მაინც გეცოდინება მისი ადგილსამყოფელი!

სიტყვის გადაკვრა

მატარებლის კუპეში ერთმა მგზავრმა მეორეს მიმართა:
— არ მეტყვით, ჩემო ბატონო, რომელი საათია?
— არა, არ გეტყვით! მერე თქვენ თავს გამაცნობთ. მეც ჩემს ვინაობას მოგახსენებთ, შემდეგ გამოირკვევა, რომ ერთსა და იმავე ქალაქში მივემგზავრებით. მე შინ მიგიწვევთ სადილზე, იქ ჩემს ქალიშვილს შეხვდებით, თქვენ იგი მოგეწონებათ და მის ხელს მთხოვთ. მე კი რისთვის მჭირდება ისეთი სიძე, რომელსაც საათის ყიდვის თავიც არა აქვს?!

ეჭვიანობა

ქალბატონმა დაიკემ მკითხავს ქმრის ფოტოსურათი უჩვენა:
— მე სრულიად არ მაინტერესებს ამისი მომავალი, თქვენ მხოლოდ ის მითხარით, სად იყო გუშინ საღამოს?

ურთიერთდახმარება

— გავიგე, უაღრესად ბედნიერი ყოფილხარ! როგორ მიაღწიე ამას?
— სრულიად უბრალოდ. მდიდარი მამაკაცი გავიცანი. მას ფული ჰქონდა, მე კი — გამოცდილება.
— ახლა?
— მას გამოცდილება აქვს, მე კი — ფული.

ნანატრი დღე

— ქორწინების პირველი დღეა და უკვე მეჩხუბები! — უსაყვედურა ნეფემ დედოფალს.
— მაგრამ მე ამ დღეს მთელი ორი წელიწადი ველოდებოდი!..

გაწბილება

ქმარი: — მინდა სერიოზულად მოგელაპარაკო!
ცოლი: — შეგიძლია დაიწყო. მე მალე დავბრუნდები.

მხილება

— შეიძლება თქვენი შეფის ნახვა? — იკითხა ქალმა მისაღებში.
— რა თქმა უნდა! — მიუგო ჩინოვნიკმა, — დაუყოვნებლივ მიგიღებთ. იგი მშვენიერ ქალებს არასოდეს ალოდინებს.
— ჩინებულია! გადაეცით, თქვენი ცოლი მოვიდა-თქო!

უსაფრთხოება

— ჭამის წინ პირჯვარს იწერ? — ჰკითხა მღვდელმსახურმა ბიჭუნას.
— არა დედაჩემმა კარგი საჭმლის კეთება იცის! — მიუგო ბიჭუნამ.

ქალთა დიალოგი ცოლქმრობაზე

— ცოლქმრობა, — თქვა ერთმა, — უდაბნოსა და მირაჟა მაგონებს — სასახლით, პალმებითა და აქლემებით. შემდეგ ჯერ სასახლე ქრება, მერე — პალმები და ბოლოს ერთ აქლემთანღა რჩები!

საყვედური

ქმარი: პირდაპირ საოცარია, რა უხეიროდ არის განათებული ეს ქუჩა?!.
ცოლი: განა დიდი ხანია მას შემდეგ, ჩვენს ქორწინებამდე სახლში რომ მაცილებდი და ბუზღუნებდი ხოლმე, აქ საღამოობით დღესავით სინათლეაო?!.

პლაჟზე

— შენ რა, სამუშაო დროს დადიხარ საბანაოდ?
— მე აქ სამსახურებრივი საქმის გამო ვარ.
— როგორ?
— ახალი მდივნის შერჩევა მინდა!

ქარაგმა

სიდედრი: რა მშვენიერი პაწაწა ხე ჩაგირგავს, ჯონი! სულ ერთი ფუტი სიმაღლისა თუ იქნება.
სიძე: ჰო, ეს-ეს არის, ჩავრგე. ვიმედოვნებ, შემდეგისათვის რომ მობრძანდებით, მაგის ჩრდილში ჩამოჯდომა შეგეძლებათ.

პირობა

ცოლმა ლატარიის ბილეთი შეიძინა და ქმარს უთხრა:
— თუ მოვიგებ, ჩემთვის ახალ ქაბას ვიყიდი.
— და თუ არა?
— მაშინ შენ მიყიდი!

გერმანულიდან თარგმნა შოთა ამირანაშვილმა

სარვამარტო

აკროსტიქი

ბკოცნით შვილიკოს, დაიკოს, დედას, მეუღლეს — სუყველას,
იმ გაუთხოვარ ქალებსაც, ვინც იტანჯება უთქმელად!..
ლოცვა-კურთხევას გიგზავნით აზარფეშით და ფიალით,
ოცნებაც თქვენკენ მეწევა, მოვქრივარ გულის ფრიალით!..
ცოლებო, ქმრებს დაგილოცავთ, მათ დიდ მხნეობას ვაგულებ,
ამ დღეს ქალების კარნახით სამზადში ჯაჭვით დაბმულებს!..
ვიტყვი თამამად, დრო არის გარდაქმნისა და ნავარდის,
თუ ქმრები შემოგედავონ, სტალინგრადივით გამაგრდით!
ქართველ ქალს წინათ შვილები მკერდზე ებნია მძივებად,
ახლა ტანს უფრთხილდებიან, ბევრმა ერთიც არ ინება!
ლოცვა-კურთხევა იმ დედებს, ვინც ქართველ შვილებს
ამრავლებს,
თითოეულის გაჩენა რომ გვაცოცხლებს და გვახარებს!..
არადა, როგორ დავლოცო, ვინც ქაჩავს „ქემელს“,
„მარლბოროს“!..
და სურვილი მაქვს შემდგომში, რომ მათი ქმრებიც გავჭორო!
ღამით სტერეოს მოსმენას გიჯობთ აკვანთან ვალობა,
ერის ზრდა და გამრავლება — ესაა კაი ქალობა!
სამზე მეტს ვინც იყოლიებს, ქალი იქნება — მონა ღვთის!
რაისაბჭომ კი ნამატზე მისცეს მათ თითო ოთახი!
ვლოცავ ქალს გამარჯვებულს და ყველას მივმართავ ვედრებით,
ამ წელსაც რომ გაგვახარონ ოქროს და ვერცხლის მედლებით!
მუდამ ატარეთ სახელი ქართველი ქალის და დედის!
არ ემკითხაოთ გოგონებს ყავაზე თავისი ბედი!
რადგანაც დღეისთვის გლოცავთ, მაქვს მეც ამისი მიზეზი,
ტელეფონით დღეს პირველად დავლოცე ჩემი სიდედრი!..
სავსე ფიალით გისურვებთ სიცოცხლესა და მხნეობას!

დაე, მხნედ შეხვდით შვილების, შვილთაშვილების დღეობას!

ივანე ოსეფაიშვილი

ნახ. ი. ყვინაშვილისა



КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“
№ 5 (1783). მარტი.
გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ივთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ვახტანგ ამირეჯიბი, ნოდარ ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი **ირაკლი დუნდუა**

გადაეცა ასაწყობად 03. 02. 89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 06. 03. 89 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. № 289 ფე 04632. ტირაჟი 129 000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, 3/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137